

მორიგი ჰესი მშენებლობის ძველი პრაქტიკით: ჯერ ხელშეკრულება, შემდეგ კვლევები

ქვემო ქართლში ახალი ჰესი აშენდება. ნამახვანის პროექტის მსგავსად, ამ ჰესის მშენებლობისთვის წამოწყებული პროცესებიც უკულმა მიდის: ჯერ მემორანდუმი და ელექტრო ენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა, შემდეგ კი საჭირო კვლევების ჩატარება დაევალა ინვესტორს.

ინვესტორი ამ შემთხვევაში ჩინელი და ქართველი ბიზნესმენების პარტნიორობით შექმნილი კომპანია “ვმ ელექტრიკა”. ლინა მამ საქართველოში ბიზნესაქმიანობა 2014 წელს დაიწყო. არის როგორც ჩინეთის, ისე საქართველოს მოქალაქე. საჯარო რეესტრის მონაცემებით, წილებს 10 კომპანიაში ფლობს და 10-ში დირექტორის პოზიცია უჭირავს. აინტერესებს რესურსების მოპოვება, ეს იქნება ქვიშა-ხრეში თუ ტქრო, ნავთობი და ელექტრო ენერჯია. მისი პარტნიორი კი ბიზნესმენი ვლადიმერ ფანგანია.

ჰესი კი, რომელსაც ისინი აშენებენ არის “მტკვარი კასკადი 4,” 103-მეგავატიანი, ოთხსაფეხურიანი ჰესების კასკადი. ფანგანი ამბობს, რომ პროექტის სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 140 მილიონ დოლარზე მეტია. სამშენებლო ფართობი მოიცავს თბილისის, რუსთავის, მარნეულისა და გარდაბნის ტერიტორიებს. ჰესი იმუშავებს მდინარე მტკვრის ბუნებრივ ჩამონადენზე.

სახელმწიფომ ჰესის მშენებლობისთვის საჭირო მემორანდუმი კომპანიასთან 2017 წელს ისე გააფორმა, რომ ჯერ საბაზისო კვლევებიც არ ჰქონდათ. ჩვენ ეკონომიკის სამინისტროს მემორანდუმი მოვთხოვეთ, თუმცა არ გამოგვიგზავნეს. ფანგანი კი ვარაუდობს, რომ ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია და მათი მხრიდან გამოგზავნა უხერხული იქნება.

პროექტზე დოკუმენტაციის მომზადება, მემორანდუმის გაფორმებიდან ერთი წლის შემდეგ, კომპანია “გროს ენერჯი ჯგუფმა” დაიწყო. ამავე კომპანიამ მოამზადა დოკუმენტები ნამახვანჰესისთვის.

პროექტის დასამტკიცებლად საჭირო კვლევები და დოკუმენტები დღესაც არ არის მზად. მიუხედავად ამისა, 2019 წლის 21 თებერვალს “ვმ ელექტრიკა”-თან ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორმა (ესკო) ელექტროენერჯის გარანტიით შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა. ესკოს ამ დოკუმენტის გამოგზავნა ვთხოვეთ, თუმცა უარი გვითხრეს, ხელშეკრულება კონფიდენციალურ ინფორმაციას შეიცავსო. დეტალების თქმისგან თავი ვლადიმერ ფანგანმაც შეიკავა, თუმცა რაც გვითხრა არის, რომ ამ დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფო მათი კომპანიისგან ელექტროენერჯიას 10 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად 8 თვე შეისყიდის, 1 კვტ/სთ-ს 6 ცენტად.

როგორც “მწვანე ალტერნატივას” წარმომადგენლის, დათო ჭიპაშვილი გვიხსნის, საქართველო ევროკავშირის ენერგოგაერთიანების ნეერი სახელმწიფოა და მემორანდუმის გაფორმებითაც კი, ნევრობით აღებული ვალდებულებები დავარღვიეთ. წესით, პროცესი ასე არ უნდა

დანყებულებით. მისი თქმით, ფორმულა მარტივია: ჯერ უნდა ჩატარდეს კვლევები და მათზე დაყრდნობით მივიღოთ გადაწყვეტილება, შეიძლება თუ არა პროექტის განხორციელება.

ჭიპაშვილი ასევე ამბობს, რომ პროცესი გარემოზე ზემოქმედების შეფასებით უნდა იწყებოდეს: “გარემოზე ზემოქმედების შეფასების არსი არის, პროექტის საუკეთესო ალტერნატივის გამოვლენა. ეს ნიშნავს, რომ, შეიძლება, მათ უნდოდეთ ჰესის აშენება, მაგრამ ალტერნატივების ანალიზმა აჩვენოს, რომ ამ ჰესს სჯობდეს, სიტყვაზე, ქარის სადგური, ან სხვა ტიპის სქემა. მაგალითად, ჰესი + მზის სადგური, ჰიბრიდულ რეჟიმში, ანუ ალტერნატივა უნდა იყოს გამოვლენილი, ან შეიძლება საუკეთესო ალტერნატივა იყოს არ აშენება ობიექტის.”

ფანგანის თქმით, ჰესის სამშენებლო პროცესი დანყებული არ არის. კონკრეტულ ვადებს არ გვისახელებს, თუმცა ამბობს, რომ ვადებმაც გადაინია, რადგან გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი ჯერ სამინისტროში არ წარუდგენიათ. დოკუმენტის წარდგენა წყლის რაოდენობის დათვლამ გააჭიანურა. ფიქრობს, ზაფხულისთვის მზად ექნებათ, სამინისტროში წარადგენენ და შემდეგ გააგრძელებენ დაგეგმილ სამუშაოებს.

“ჩვენთვის ცნობილია, რომ ბუნებაზე ზემოქმედება ფაქტობრივად არ არის და მინიმალურია, მაგრამ გზმ-ის გამოქვეყნების უფლება არ გვაქვს, სანამ არ გვეცოდინება წყალი. იქ არის ბევრი ორგანიზაცია, თბოსადგურები, წარმოება, სოფლის მეურნეობა და ახლა მიდის შეთანხმება, ვის რამდენი წყალი სჭირდება, რომელ თვეებში. მერე, ჩვენ ამ ციფრებს შევიტანთ გზმ-ში და წარვადგენთ სამინისტროში,“ - ამბობს ფანგანი.

გზმ-ის მომზადების პირველი ეტაპი ე.წ. სკოპინგის პროცედურაა. ამ დროს განისაზღვრება ყველა ის კვლევა და პროცედურა, რომელიც კომპანიამ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად უნდა ჩატაროს. პროცესი ასეთია: კომპანია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიაწვდის სკოპინგის დოკუმენტს, რომელშიც პროექტის დეტალებია განხილული და სამინისტრო აქვეყნებს სკოპინგის დასკვნას, რომელშიც შენიშვნები და შემდგომი პროცედურებია განერილი.

“მტკვარი კასკადი 4”-ის სკოპინგის ანგარიში 2019 წელს კომპანია “დაბლიუჯი ენვი კონსალტინგმა” მოამზადა და სამინისტროში 2019 წლის 6 თებერვალს წარადგინეს. მთავრობისგან პასუხს არ დაელოდნენ და სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად 4 მარტს საჯარო განხილვა ჯერ რუსთავის მერიამში, შემდეგ კი ალთაკლიას და ყარათაკლიას ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში მოაწყვეს.

მერიაში, საჯარო განხილვას მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტროს, რუსთავის მუნიციპალიტეტის, სკოპინგის ანგარიშის ავტორთა ჯგუფი და “ემ ელექტრიკ”-ის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. როგორც სამინისტროდან მონოდებულ დოკუმენტში წერია, “აღნიშნულ განხილვაზე დაინტერესებული საზოგადოება წარმოდგენილი არ ყოფილა.”

საზოგადოებას შეხვედრაზე დასწრების უფლება ალთაკლიას და ყარათაკლიას ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში მისცეს. აქ თავი 11 ადამიანს მოეყარა: 2 თბილისიდან იყო ჩასული, 6 სოფელ ალთაკლიაიდან, 3 კი ყარათაკლიაიდან. ჩვენ ვესაუბრეთ ორივე სოფლის მკვიდრს, რომლებიც შეხვედრას ესწრებოდნენ.

ისი მხან მახლოვი სოფელ ალთაკლიაიდან და აბას სადიგოვი სოფელ ყარათაკლიაიდან იხსენებენ, რომ კომპანიის წარმომადგენლების თქმით, მშენებლობას წელიწადნახევარში დაიწყებდნენ. “მანდ მიკრო ჰესის აშენება სურდათ. ჩვენც ვიმსჯელებთ და გადავწყვიტეთ, რომ აშენება

შეუძლიათ, უბრალოდ, სოფლისთვის ელექტრო ენერჯია უნდა გადმოეცათ. მაგ დროს ჩვენთან რთული მდგომარეობა იყო დენის მხრივ. გვითხრეს, რომ მიკრო ჰესი იქნება და არანაირ საფრთხეს არ ქმნიდა სოფლისთვის. პირადად მე მითხრეს, რომ მშენებლობის დანებებისას სამუშაო ძალის მობილიზებაში დაეხმარებოდნენ,“ – იხსენებს ისიმახან მახალოვი.

აბას სადიგოვს კი ახსოვს, რომ უკმაყოფილება გამოთქვეს, რადგან მათი სოფლები ისედაც დაბალზე მდებარეობს და ნესტიანია. “ეკონომისტი ჰყავდათ. აგვისნა, რომ არაფერი პრობლემა არ იქნება, მტკვრის ორივე მხარეს კაშხალი აშენდებოდა. სოფლების დატბორვის საშიშროება არ არსებობს. ასე აგვისნა. მაგრამ არ ვიცი, რამდენად მართალია ან არ არის მართალი, ეს უკვე მომავალში გამოჩნდება,“ – იხსენებს სადიგოვი.

ამ ეტაპზე კომპანიას ჯერ შესწავლილი არ ჰქონდა მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიური მახასიათებლები და არც ჰესის მიერ გარემოზე შესაძლო გავლენა.

საჯარო განხილვებიდან 22 დღეში სამინისტრომ პროექტის პირველადი კვლევის, სკოპინგის დოკუმენტის შესახებ დასკვნა გამოაქვეყნა. სამინისტროს პოზიციით, პროექტს აკლდა საჭიროების დასაბუთება. არადა, ამ დროისთვის ინვესტორს უკვე გაფორმებული ჰქონდა ელ.ენერჯის გარანტირებულად შესყიდვის ხელშეკრულება.

ამავე დასკვნაში სამინისტრო კომპანიას ურჩევდა, რომ ჰესი #2- ის მშენებლობის ადგილი 500 მეტრით შეეცვალათ, რადგან ჰესი უწყლოდ დატოვებდა გარდაბნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ 4 ენერგობლოკს, გარდაბნის მაგისტრალურ არხს და დაარღვევს ჯანდარის ტბის ეკოლოგიურ ბალანსს.

ვლადიმერ ფანგანის თქმით, ჰესი #2-სთვის ადგილის შეცვლას არ აპირებენ: “ჩვენ გავაკეთეთ კომპლექსური ექსპედიცია, დაესწრნენ სამინისტროს თანამშრომლები და შევთანხმდით, რომ ეს აუცილებელი არ არის.”

როგორ უნდა მიმდინარეობდეს პროცესი?

უკვე ვახსენეთ, რომ საქართველო ევროკავშირის ენერგოგაერთიანების ნეგრი ქვეყანაა.

“მწვანე ალტერნატივის” წარმომადგენლის, დათო ჭიპაშვილის თქმით, თუ პროცესს სწორად წარმართავდით “ჯერ უნდა მოხდეს დადგენა, პროექტი განხორციელებადია თუ არა, უნდა ჩატარდეს შესწავლები, პროექტის საჭიროების დასაბუთება, ანუ ყველაფერი გარემოზე ზემოქმედების ანგარიშით უნდა დანებებულიყო. რეალურად, გადანყვეტილების პროცესი კვლევა-ძიებისა და მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებით უნდა მომხდარიყო და მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ხელშეკრულების გაფორმება.”

მისი თქმით, პრობლემა არის იმაშიც, თუ ვინ არის დოკუმენტის ხელმომწერი მხარეები. ევროკავშირის ენერგოგაერთიანების ნესებს ამ ნაწილშიც ვარღვევთ. კერძოდ, ჭიპაშვილის თქმით, სახელმწიფოს მაგიერ ხელმომწერი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, სემეკი უნდა იყოს, რომელიც ჩვენს შემთხვევაში პროცესებში საერთოდ არ მონაწილეობს.

“უნდა არსებობდეს საერთო ჩარჩო-ხელშემწყობი ღონისძიებების მიდგომა, რომელიც უნდა განსაზღვროს სემეკმა, დამოუკიდებელმა მარეგულირებელმა კომისიამ. ის უნდა იყოს არადისკრიმინაციული საერთოდ ყველა განახლებადი ენერჯის წყაროებისთვის და

შესაბამისად, მათი განმავითარებელი დეველოპერებისთვის. ჩვენს შემთხვევაში, ერთი რომ სემეკი საერთოდ არ მონაწილეობს ამ პროცესში, არც ხელმომწერი არ არის და საერთოდ არავინ არ არის.”

სემეკის ელექტროენერჯის დეპარტამენტის დირექტორი, ნუგზარ ბერიძე კი ამბობს, რომ ისინი ამ ეტაპზე, მხოლოდ ლიცენზიის ნაწილში ერთვებიან, ანუ როდესაც ჰესი უკვე აშენებული და ექსპლუატაციაშია შესულია, მასზე ლიცენზიას გასცემენ და წინა პროცესებში მონაწილეობა არ მიაჩნია საჭიროდ.

“გარკვეულ სპეციალისტებს უნდოდათ, სემეკი ჩართულიყო ამ პროცესებში მშენებლობის ზედამხედველობის თვალსაზრისით, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ სემეკი არ არის სახელმწიფო უწყება. არადა, მშენებლობა არის ზედამხედველობის აუცილებელი ობიექტი, იმდენად, რამდენადაც მას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა, საფრთხის შემცველია, იქ კაშხლები შენდება და ა.შ. საერთოდ, ყველაზე სწორი არის, როდესაც მარეგულირებელი დისტანცირებული არის სახელმწიფო ინტერესებიდან. მარეგულირებელმა უნდა დაიცვას კერძო ბიზნესის და მომხმარებლის ინტერესები,” – გვეუბნება ბერიძე.

რაც შეეხება ხელშეწყობას, სემეკის ერთ-ერთ მისია მართლაც არის საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა. როგორც ბერიძე ამბობს, პატარა, 15 მეგავატამდე სიმძლავრის ჰესებს ოპერირებისთვის ლიცენზია არ სჭირდებათ. რაც შეეხება უფრო მძლავრ ჰესებს, ბერიძის თქმით, თუ საპროექტო დოკუმენტაცია წესრიგშია, წინასწარ ლიცენზიას აძლევენ.

როგორც ჭიპაშვილი გვიხსნის, ევროკავშირის გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარეების პროცესში ჩართულობაა.

“ჩვენ შემთხვევაში რასაც ვხედავთ, გადანყვეტილებების მიღება ხდება დახურულ კარს მიღმა და ხშირ შემთხვევაში ეს ხელშეკრულებები კონფიდენციალურია და უკვე ჩნდება ეჭვი შესაძლო კორუფციულ გარიგებაზე. სხვა შემთხვევაში, წარმოუდგენელია, რატომ უნდა იყოს ხელშეკრულება, რომელიც ეხება თითოეულ საქართველოს მოქალაქეს, დახურული ინფორმაცია. საქართველოში გამჭვირვალობა არ არის უზრუნველყოფილი, იმიტომ რომ ჯერ ხელშეკრულებას დებენ, ანუ გადანყვეტილებას იღებენ და ამის შემდეგ იწყება კვლევები. გადანყვეტილება არ უნდა უსწრებდეს წინ კვლევებს,” – გვეუბნება ჭიპაშვილი.

“მტკვარი კასკადი 4-ის” შემთხვევაშიც ასეა, მემორანდუმიც გაფორმებულია და ელექტროენერჯის შესყიდვის გარანტიის ხელშეკრულებაც. ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონფიდენციალურია და ესკომ გამოგზავნაზე უარი გვითხრა. ვერც მემორანდუმის ნახვა მოვახერხეთ. არადა, დოკუმენტს 7 აპრილის შემდეგ ვითხოვეთ. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილი მთავრობის კანცელარიას გავუგზავნეთ, მათ ეკონომიკის სამინისტროში გადაამისამართეს, თუმცა დღემდე არაფერი გამოუგზავნიან. საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონით დადგენილი გონივრული ვადა კი დიდი ხანია ამოიწურა. ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ გზმ-ის დოკუმენტს და ვიმედოვნოთ, რომ კვლევები და შემდგომი პროცესი სათანადო გამჭვირვალობით ჩატარდება.

ცოტა რამ ლინა მას შესახებ

ლინა მამ საქართველოში ბიზნესსაქმიანობა 2015 წელს დაიწყო. აქვს უძრავი ქონებაც. საჯარო რეესტრის მიხედვით, ის ფლობს თბილისში, ვიქტორ კუპრადის ქუჩაზე 108 კვ.მ. ფართის ბინას, რომელიც ბაოშანგ ვანგმა აჩუქა.

ვლადიმერ ფანგანი, მისი პარტნიორი “ემ ელექტრიკ”- ის გარდა კიდევ სამ კომპანიაშია წილის მფლობელი. ფანგანმა მმართველ პარტიას 2014 წელს 10,000 ლარი შესწირა. ფანგანის შვილი, გიორგი ფანგანი საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წევრია.

ლინა მას ჰქონდა მცდელობა საქართველოში, კერძოდ სვანეთში ოქრო მოეპოვებინა და მოსახლეობასაც დაუპირისპირდნენ. ამ საქმეშიც ფანგანი ლინა მას გვერდით ედგა. 2017 წელს ნავთობისა და გაზის ლიცენზიის მოპოვება სურდათ, თუმცა ტენდერი სხვა კომპანიამ მოიგო და სასამართლოში სარჩელიც შეიტანეს.

პარტნიორებმა გასული წლის ოქტომბერში, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი უძრავი ქონება, სიმბოლურ ფასად, 5,001 ლარად იყიდეს. ეს არის სოფელ ანაკლიაში 4,946 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული მშენებარე და დანგრეული შენობა-ნაგებობები. ეს ქონება სააგენტომ აუქციონზე 2019 წელსაც გამოიტანა, მაშინ საინვესტიციო ვალდებულება 10 მილიონი ლარი იყო, თუმცა ვერ გაყიდეს. მეორე ცდაზე საინვესტიციო ვალდებულება განახევრდა და 5 მილიონი ლარი გახდა. მყიდველები ვალდებულები არიან, ხელშეკრულების გაფორმებიდან 48 თვეში იქ სასტუმრო კომპლექსი გახსნან და ადგილობრივები დაასაქმონ.

ნანუკა ბრეგაძე